



ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის
გეოლოგიის ინსტიტუტი
ALEXANDRE JANELIDZE
INSTITUTE OF GEOLOGY

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

თსუ ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის
გეოლოგიის ინსტიტუტი

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის

თ ე ზ ი ს ე ბ ი

მიძღვნილი აკადემიკოსების

ერეკლე გამყრელიძისა და დავით შენგელიას

დაბადებიდან 90 წლისთავისადმი

4-5 მაისი, 2023 წ
თბილისი



ალექსანდრე ჯანელიძის ინსტიტუტის
გეოლოგიის ინსტიტუტი
ALEXANDRE JANELIDZE
INSTITUTE OF GEOLOGY

Georgian National Academy of Sciences
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
TSU Alexandre Janelidze Institute of Geology

Books of Abstracts

**International Scientific Conference
dedicated to the 90-th birth anniversary of
the Academicians
Irakli Gamkrelidze and David Shengelia**

May 4-5, 2023

Tbilisi

საორგანიზაციო კომიტეტი

- თ. წუწუნავა (თავმჯდომარე) – გეოლ.-მინერ. მეცნ. დოქტორი
მ. კაკაბაძე – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
აკადემიკოსი
ფ. მაისაძე – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
ვ. გვახარია – ქიმიის მეცნ. კანდიდატი
გ. ჭიჭინაძე – გეოლ.-მინერ. მეცნ. კანდიდატი
ე. კილასონია – გეოლ.-მინერ. მეცნ. კანდიდატი
გ. ბერიძე (სწავლული მდივანი) – გეოლოგიის აკად. დოქტორი
ქ. გაბარაშვილი – გეოლოგიის მაგისტრი
-

Organizing Committee

- T. Tsutsunava** (Chairman) – Doctor of Geol.-miner. sciences
M. Kakabadze – Academician of the Georgian National Academy of
Sciences
F. Maisadze – Corresponding member of the Georgian National
Academy of Sciences
V. Gvakharia – Candidate of Chemical sciences
G. Chichinadze – Candidate of Geol.-miner. Sciences
G. Beridze (Secretary scientific) – Acad. Dr. of Geology
K. Gabarashvili – Master of Geology

სარჩევი

- ე. გამყრელიძე, კ. ქოიავა, ფ.მაისაძე, გ. ჩიჩუა**
კავკასიონის სამხრეთი ფერდობის თხელ- და სქელზეწრული შარიაქები: სინკლიზიური და თანამედროვე ალპინოტიპური სუბდუქციის მტკიცებულება..... 5
- დ. შენგელია, თ. წუწუნავა, ვ. აღამალიანი, გ. ჭიჭინაძე, გ. ბერიძე, ი. ჯავახიშვილი**
მცირე კავკასიონის ალპურამდელი რეგიონული მეტამორფიზმი..... 8
- ა. თვალჭრელიძე, მ. ოთარაშვილი**
სამხრეთ კავკასიისა და ირანის ეპითერმული Au-Cu სისტემები..... 11
- ე. გამყრელიძე, ა. ოქროსცვარიძე, ი.-პ. ლი, დ. თორმეი, გ. ბოიჩენკო, ს. გოგოლაძე**
კავკასიონის სვანეთის სეგმენტის პლუტონური მაგმატიზმი: ცირკონების U-Pb გეოქრონოლოგია, პეტროქიმია და წარმოშობის გეოდინამიკური პირობები..... 13
- ა. ოქროსცვარიძე, ე. გამყრელიძე, ი.-პ. ჩენგი, ს.-ლ. ჩანგი, ფ. რაბაიროლი, გ. ბოიჩენკო, ს. გოგოლაძე**
აჭარა-თრაიალეთის სარტყელის პლუტონების ქსენოლითების ცირკონების U-Pb გეოქრონოლოგია: მტკიცებულებები იურულამდელი კრისტალური ფუნდამენტის დესტრუქციის შესახებ..... 15
- ვ. გვახარია, ნ. მაჩიტაძე, ნ. გელაშვილი, გ. ღამბაშიძე, ტ. ადამია, ს. კოლომიკოვი**
ზაჰესის წყალსაცავის ფსკერული ნალექების კვლევა..... 16
- კ. აქიმძე, ა. ოქროსცვარიძე, დ. ბლუაშვილი**
კავკასიონის კახეთისა და თუშეთის სეგმენტების გეოლოგიური დახასიათება და მათი მადნგამოვლინებების პერსპექტიულობის შეფასება..... 18
- დ. ყუფარაძე, დ. პატარიძე, ვ. კირაკოსიანი, ნ. ხუნდაძე, გ. დარჩიაშვილი**
მძიმე ლითონების განაწილება საქართველოს საავტომობილო გზების გასწვრივ მდებარე ნიადაგებში (დასავლეთ-აღმოსავლეთის

მონაკვეთზე).....	19
ლ. ფოფხაძე, ს. სტამბოლიშვილი დასავლეთ საქართველოს ქვედამიოცენური ნალექების მიკრო- ფაუნა (ფორამინიფერები, ოსტრაკოდები).....	21
თ. დავთაძე, ლ. ფოფხაძე, ს. სტამბოლიშვილი ეოცენის და ოლიგოცენის მოსაზღვრე ნალექების ბიოსტრატო- გრაფია რიონი-მტკვრის სტრუქტურულ-ფაციალურ ზონაში.....	22
ლ. ბაშელიშვილი ლისის ანტიკლინის ფარგლებში განვითარებული მცირემპლიტუ- დიანი რღვევითი დისლოკაციების სტრუქტურულ-კინემატიკური ინტერპრეტაცია	24
ზ. ლებანიძე, ა. უჰმანი, თ. ბერიძე, ნ. კობახიძე, ვ. ლობჯანიძე, ს. ხუციშვილი, რ. ჩაგელიშვილი, დ. მაქაძე, კ. ქოიავა, ნ. ხუნდაძე ბორჯომის ხეობის პალეოცენ-ქვედაეოცენური ნალექების ნამარხი ნაკვალევები.....	25
გ. ბერიძე, მ. მესხი, ქ. გაბარაშვილი, ი. ჯავახიშვილი, ნ. ინანაშვილი ახალი მონაცემები ხევისურეთის ალპური ტიპის კვარცის ძარღვების მინერალოგიური შედგენილობის შესახებ.....	26
ე. შაფაქიძე, ი. ქამუშაძე, ი. გეჯაძე, ლ. გაბუნია, თ. პეტრიაშვილი საქართველოს თიხოვანი ქანების თერმული მოდიფიცირების რეჟიმის შემუშავება მეტაკაოლინის მისაღებად.....	28
მ. კავსაძე, ქ. გაბარაშვილი, გ. ვაშაკიძე, მ. ტოგონიძე, თ. ბერიძე, გ. ბერიძე, ვ. ლობჯანიძე გუდამაყრის ქედის კირტუფოვანი წარმონაქმნები.....	29
ნ. ჩომახიძე, ნ. ფოფორაძე ქისათიბის დიატომიტის საბადო.....	30
მ. ტყემალაძე ძირულის მასივის სამხრეთ - დასავლეთი პერიფერიის ჰემატიტი- ანი ჰორიზონტის შესახებ.....	32

ბ. მიქაბე, მ. ვაგრეიძი, გ. ტლაშაძე, ნ. იკოშვილი დასავლეთი დაძირვის მოლასურ ზონაში (საქართველო) სანტონურ/კამპანურის საზღვრის საკითხი მიკრო- და მაკროფაუნის მიხედვით.....	34
რ. მიგინეიშვილი მადნიანი წვრილმარღვების სისტემების იდენტიფიცირება: მუშევანი 2 ოქრო-სპილენძის და კაზრეთის ბარიტ-ოქრო-პოლიმეტა-ლური საბადოები, საქართველო.....	35
ჟ. გურჯია, ა. მაღლაკელიძე, ტ. ადამია, ნ. ქადაგიშვილი, ზ. ჩიტაშვილი მინერალიზაციისა და ელექტროგამტარობის ურთიერთდამოკიდებულების ხასიათის შესწავლა სხვადასხვა ტიპის წყლებში.....	38
გ. ლობჯანიძე, გ. მაჩაიძე, ბ. კახაძე, თ. ბუტულაშვილი, ლ. გუდავაძე სამთო-გეოლოგიური ინდუსტრიის განვითარების აქტუალური სოციალურ-ეკონომიკური ტენდენციები გლობალიზაციის პერიოდსა და პირობებში.....	39
მ. მაქაბე, ა. ოქროსცვარიძე, იუან-ჰსი ლი, დ. თორმეი, გ. ბოიჩენკო, ს. გოგოლაძე აღმოსავლეთ კავკასიის მთათშაუა ნეოგენური აუზის ვულკანური ფერფლის შრეების ცირკონის U-Pb გეოქრონოლოგია და გეოქიმია: მტკიცებულებები მათი წყაროს შესახებ.....	41
ვ. გვახარია, ნ. გაფრინდაშვილი, გ. ყავლაშვილი, ი. პაპაშვილი ზაჰესის წყალსაცავის ბათიმეტრული კვლევა.....	42
ა. ოქროსცვარიძე, დ. ბლუაშვილი, ფ. ვილკე, ა. ჰოფერფილდი, კ. აქიმიძე, რ. გაბრიელაშვილი კავკასიონის შხარის კრისტალური მასივის ურანის მინერალიზაცია: გეოქიმია, U-Pb ასაკები და ანალოგები.....	44
ი. მშენიერაძე, ნ. გაგნიძე, ნ. ჯაფარიძე, გ. ხარაზიშვილი ძირულის კრისტალური მასივის გრანიტების გეოქიმია და მისი როლი მადანგამოვლინებაში.....	45

თ. ღავთაძე, ხ. მიქაძე, ზ. ჩხაიძე

გვიანალბური ოკეანური ანოქსიური OAE 1d მოვლენა კავკასიონის
სამხრეთი ფერდობის მესტია-თიანეთის ზონის აუზში
(საქართველო).....

47

კავკასიონის სამხრეთი ფერდობის თხელ- და სქელწიწი შარიაჟები: სინკოლიზიური და თანამედროვე ალპინოტიპური სუბდუქციის მტკიცებულება

ე. გამყრელიძე¹, კ. ქოიავა¹, ფ.მაისაძე¹, გ. ჩიჩუა

¹თსუ ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი

კავკასიონი (კავკასიონის ნაოჭა-შეცოცებითი სარტყელი) თანამედროვე სტრუქტურაში წარმოედგენს ორმხრივ ვერგენტულ ოროგენულ სისტემას, მის სამხრეთ ფერდობზე განვითარებული სამხრეთვერგენტული, ხშირად იზოკლინური დანაოჭებით, შეცოცებებითა და შარიაჟებით და შედარებით სუსტი, ჩრდილოვერგენტული დანაოჭებით და შეცოცებებით მის ჩრდილო ფერდობზე (Gamkrelidze, Koiava et al., 2018).

კავკასიონის სამხრეთი ფერდობის შარიაჟების არსებობა ნათლად დასტურდება გვიანეოცენური დროის პალეოგეოგრაფიული რეკონსტრუქციებით, რომლებიც ფლიშური ზონის შარიაჟებით მთელი გაგრა-ჯავის ზონის და საქართველოს ბელტის აღმოსავლეთი დაძირვის მნიშვნელოვანი ნაწილის სრულ გადაფარვაზე მიუთითებს (П.Гамкрелидзе, 1970; Майсадзе, 1970; И.Гамкрелидзе, 1970; П.Гамкрелидзе, И.Гамкрелидзе, 1977), ბურღვის და სტრუქტურული მონაცემებით. კერძოდ, სუბჰორიზონტალურად განლაგებული შარირებული ფირფიტების და მათში მრავალი ტექტონიკური ფანჯრის და ნახევარფანჯრის არსებობით (Чичуа, 1971; П. Гамкрелидзе, И. Гамкрелидзе, 1977), და ბოლოს, სეისმური არეკვლის პროფილების ინტერპრეტაციით.

გამოვლენილი შარიაჟები გეოლოგიურ წარსულში დამოუკიდებელ სტრუქტურულ-ფაციესურ ზონებს წარმოადგენდა. შარიაჟების განვითარების დასავლეთ სეგმენტში პირველადი სტრუქტურულ-ფაციესური ზონალობა არ არის დარღვეული, მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ (კახეთის) სეგმენტში დაიკვირვება სამხრეთი შარიაჟების სრული გადაფარვა ადრე უფრო

ჩრდილოეთით განლაგებული შარიაჟებით (ფაციესური ზონებით) (П. Гамкრелидзе, И. Гамкრелидзе, 1977). დასავლეთ სეგმენტში ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ გამოიყოფა: უწერა-პავლეურის შარიაჟი, რომელიც ხასიათდება კალციკლასტური და სილიციკლასტური დისტალური ფლიშის უწყვეტი ჭრილით სენომანურიდან კამპანურამდე, სამეგურ-შახვეტილას და ჟინვალფხოველის შარიაჟები, რომლებიც აგებულია აპტურიდან შუაეოცენურამდე ასაკის კალციკლასტური და სილიციკლასტური პროქსიმალური ფლიშით და ხასიათდება სედიმენტაციაში ხშირი ხარვეზების არსებობით. კერძოდ, აპტური, სენომანური, მასტრიხტული და პალეოცენური ნალექების ტრანსგრესიული განლაგებით (П. Гамкრелидзе, И. Гамკრელიдзе, 1977). ყველაზე სამხრეთით განლაგებული შარიაჟული ფირფიტა (ქსან-არყალის პარაავტოქთონი) ავტოქთონური გაგრა-ჯავის ზონიდან არის მოწყვეტილი. უწერა-პავლეურის შარიაჟს აღმოსავლეთ სეგმენტში აქვს მნიშვნელოვანი ამპლიტუდა, ის ფარავს ალისისგორ-ჭინჭველთას და სამეგურ-შახვეტილას შარიაჟების ფესვებს. ალისისგორ-ჭინჭველთას შარიაჟი მთლიანად არის მოწყვეტილი მისი ფესვებიდან და ფარავს სხვადასხვა შარიაჟებს. ის ხასიათდება მრავალი ტექტონიკური ფანჯრის და ნახევარფანჯრის არსებობით, რომლებშიც სამეგურ-შახვეტილას შარიაჟის პალეოცენური (დანაურის ჩათვლით) და ეოცენური ნალექები შიშვლდება (Чичуа, 1971). აღმოსავლეთ სეგმენტში ჟინვალფხოველის შარიაჟი მთლიანად ფარავს ქსან-არყალის პარაავტოქთონს, რომელიც აქ მხოლოდ ტექტონიკურ ფანჯრებში და ნახევარფანჯრებში შიშვლდება. კავკასიონის სამხრეთი ფერდობის შარიაჟების ფორმირება დაიწყო, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ გვიან ეოცენურში, მაგრამ შარიაჟების ფორმირების ძირითადი დრო გვიან პლიოცენურისწინა - როდანული ოროგაზისია. შარიაჟების ფორმირების ძირითადი მექანიზმს წარმოადგენს კავკასიონის ნაოჭა-შეცოცებითი სარტყლის ინტენსიური ლატერალური შეკუმშვა, რაც გამოწვეული იყო ავტოქთონური, შედარებით რიგიდული, გაგრა-ჯავის ზონის და რიგიდული საქართველოს ბელტის მის ქვეშ ქვეცოცებით (П. Гамკრელიдзе, И. Гамკრელიдзе,

1977). ანუ ადგილი ჰქონდა ე.წ. ალპინოტიპურ (ანუ კონტინენტურ) სუბდუქციას, რომელიც იწვევდა ჩრდილოეთისკენ დაქანებული დამრეცი სხლეტის ზედაპირების წარმოშობას, რომელთა გასწვრივ ხდებოდა უკვე დანაოჭებული ფლიშური ნალექის გადაადგილება. ჩამოთვლილი შარიაჟები მათ დედამიწის ზედაპირთან ახლო ნაწილში განვითარებულია მხოლოდ დანალექ საფარში, არ მოიცავს იურულამდელ კრისტალურ სუბსტრატს და, ამრიგად, წარმოადგენს თხელზეწრულ შარიაჟებს. მაგრამ სეისმური მონაცემები მიუთითებს, რომ შარიაჟების ბაზალური მოწყვეტის ზედაპირი (basal detachment) ჰკვეთს კრისტალურ ფუნდამენტს და მთელ დედამიწის ქერქსაც კი, და ამრიგად, წარმოადგენს სქელზეწრულ დეფორმაციას. ფლიშური შარიაჟების ჯამური ჰორიზონტალური ანპლიტუდა, აღმოსავლეთ (კახეთის) სეგმენტში შეადგენს 80-90 კმ-ს. მთელი კავკასიონის დედამიწის ქერქის ჰორიზონტალური შემცირების ორმაგ სიდიდეს ჩვენ მივიღებთ მაშინ, თუ ამ ჭრილში მოვახდენთ ნაოჭების გაშლას (Yakovlev, 2005; Kopp 2007). ამასთან, თუ ამას დავეუმატებთ კავკასიონის ჩრდილო ფერდობის დანაოჭებას და რეტროშეცოცხების გასწვრივ გადააგვილებას, მაშინ, მთელი კავკასიონის აღმოსავლეთი ნაწილის ჰორიზონტალური შეკუმშვის სიდიდე სულ მცირე 170-190კმ-ს ტოლი იქნება.

შარიაჟების წარმოშობის ქვეცოცხებითი მექანიზმი (ალპინოტიპური სუბდუქცია) უნივერსალურია მთელი ალპურ-ჰიმალაური კოლიზიური სარტყლისთვის. კერძოდ ის ნაჩვენებია კარპატების, ალპების, ჰიმალაების და სხვა ოროგენულ სარტყლებისთვის (Gamkrelidze, 1991). ეს მექანიზმი ასევე დადასტურებულია ტაივანის სარტყლის, ალპებისა და ვარისკული მონტან ნუარის რამდენიმე დომენის ფორმირების ე.წ. ანალოგური მოდელირებით (ქვიშის ყუთის ექსპერიმენტებით), რომლებიც განხორციელდა მალავიეი და სხვა (Malavieille et al., 2008) მიერ.

მცირე კავკასიონის ალპურამდელი რეგიონული მეტამორფიზმი

დ. შენგელია¹, თ. წუწუნავა¹, ვ. აღამალიანი²,
გ. ჭიჭინაძე¹, გ. ბერიძე¹, ი. ჯავახიშვილი¹

¹თსუ ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი
²სომხეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
გეოლოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტი

მცირე კავკასიონზე ალპურამდელი მეტამორფიტები გავრცელებულია შავი ზღვა - ცენტრალური ამიერკავკასიის, ბეიბურთ-სევანისა და ირან-ავღანეთის ტერიენების ფარგლებში.

შავი ზღვა - ცენტრალური ამიერკავკასიის ტერიენზე ალპურამდელი რეგიონული მეტამორფიზმი განვითარებულია ხრამის კრისტალურური მასივის ავტოქთონურ და ალოქთონურ კომპლექსებში. პირველი წარმოდგენილია პროტეროზოური გნეისური მიგმატიტებით, შუაპალეოზოური მეტაბაზიტებით და გვიანპალეოზოური ვულკანოგენურ-დანალექი წარმონაქმნებით. გნეისურ-მიგმატიტურ კომპლექსში გამოვლენილია კამბრიულამდელი (გრენვილური) ბიოტიტ-სილიმანიტ-კალიშპატური ფაციესის რეგიონული მეტამორფიზმი ($T < 720^{\circ}\text{C}$, $P < 2.6-2.7$ კბარი). ბაზიტური ქანების შემოჭრის შემდეგ, ადგილი ქონდა ტექტოგენეზის სუდეტურ ფაზისთან დაკავშირებულ დაბალი წნევის სტავროლიტური ფაციესის მეტამორფიზმს ($T = 430-510^{\circ}\text{C}$, $P = 0.6-1.7$ კბარი). მასივში ფართოდ გავრცელებული ვულკანოგენურ-დანალექი კომპლექსის ქანები ასევე ვარისკული ტექტოგენეზის დროსაა გარდაქმნილი მწვანე ფიქლების ფაციესის დაბალტემპერატურულ პირობებში ($T < 350^{\circ}\text{C}$, $P < 0.5$ კბარი). ალოქთონური კომპლექსი წარმოდგენილია რეგიონული მეტამორფიზმის მწვანე ფიქლების ფაციესის ყველაზე უფრო დაბალტემპერატურული სუბფაციესის პირობებში გარდაქმნილი კამბრიულამდელი ასაკის სერპენტიტებისა და შუაპალეოზოური მეტაქვიშაქვების მცირე გამოსავლებით.

ბეიბურთ-სევანის ტერეინზე, ტექტოგენეზის ვარისკულ ფაზისთან დაკავშირებული რეგიონული მეტამორფიზმი გამოვლენილია ლოქის, ახუმისა და ასრიკჩაის მასივებსა და ამასია-სევან-აკერის სარტყლის ოფიოლიტურ ოლისტოსტრომში. ლოქის მასივის საფარლო-ლოქჯანდარის ტექტონიკური ფირფიტისა და ახუმისა და ასრიკჩაის მასივების მეტამორფიტების ნაწილის რეგიონული მეტამორფიზმის პირობები ($T=330-430^{\circ}\text{C}$, $P=3-3.3$ კბარი) შეესაბამება ქლორიტ-სერიციტულ, ბიოტიტურ და გრანატულ სუბფაციებს. ლოქის მასივის მოშევანის ტექტონიკური ფირფიტისა და ახუმისა და ასრიკჩაის მასივების მეტამორფიტების ნაწილის რეგიონული მეტამორფიზმი სტავროლიტური ფაციესის სტავროლიტ-ბიოტიტ-ანდალუზიტური სუბფაციესისა და ბიოტიტ-მუსკოვიტური გნეისებისა და რქაულების ფაციესის დონისაა ($T=470-510^{\circ}\text{C}$, $P=1-2.3$ კბარი). ლოქის მასივზე შიშვლდება მწვანე ფიქლების ფაციესის ქლორიტ-სერიციტული სუბფაციესის პირობებში ($T=290-330^{\circ}\text{C}$, $P<0.4$ კბარი) გარდაქმნილი ოფიოლიტური კომლექსის ფრაგმენტებიც, რომელთა რეგიონული მეტამორფიზმის ასაკი კამბრიულამდეელია. ოლისტოსტრომის ჩანართებში ალპურამდეელი რეგიონული მეტამორფიზმი დადგენილია მხოლოდ ამასიის, ძორაგეთისა და სევანის ქედის ბლოკებში. მეტამორფიტები გარდაქმნილია მაღალტემპერატურულ ბიოტიტ-მუსკოვიტური გნეისებისა და რქაულების სუბფაციესისა და ბიოტიტ-სილიმანიტ-კალიშპატური ფაციესის პირობებში ($T=590-680^{\circ}\text{C}$, $P=5.5-6$ კბარი) (Агамалян, 1998); ძორაგეთის ბლოკის რეგიონული მეტამორფიზმი ($T=420-470^{\circ}\text{C}$, $P=3.7-4$ კბარი) შეესაბამება მაღალტემპერატურულ მწვანე ფიქლებისა და სტავროლიტური ფაციესებს პირობებს (Агамалян, 1998; Tsutsunava et al., 2005).

ირან-ავღანეთის ტერეინზე, მეტამორფიტები გავრცელებულია მისხანის (ცახკუნიაცის) მასივზე, სადაც გამოყოფილია ორი სტრუქტურული სართული. შუაპროტეროზოური ქვედა სტრუქტურული სართული (არზაკანის კომპლექსი) წარმოდგენილია ბჟნის წყებითა და სურპსარქისისა და ვანქიმორის ტექტონიკური ფირფიტებით. მათ განიცადეს შუაპროტეროზოური

რეგიონული მეტამორფიზმი და გვიანპროტეროზოური დიაფტორეზი (Агамаян, 1998). ბუნის წყება მეტამორფიზებუღია სტავროლიტური ფაციესის ზომიერი წნევის პირობებში ($T=450-510^{\circ}\text{C}$, $P=1.8-2.5$ კბარი). სურჰსარქისის ტექტონიკური ფირფიტა ბიოტიტური სუბფაციესის დაბალი წნევის პირობებშია გარდაქმნილი ($T=350-390^{\circ}\text{C}$, $P=0.8-1.3$ კბარი). ვანქიძორის ტექტონიკურ ფირფიტას განცდილი აქვს სტავროლიტური და დაბალტემპერატურული ბიოტიტ-მუსკოვიტური გნეისების ფაციესის მეტამორფიზმი ($T=400-440^{\circ}\text{C}$, $P=2-2.9$ კბარი). გვიანპროტეროზოური ზედა სტრუქტურული სართული (დაღარის კომპლექსი) წარმოდგენიღია ბერდიტაკის, გუკისა და დაღარის ტექტონიკური ფირფიტებით, აღვერანის წყებით და კასახისა და ანკავანის ოფიოლიტური კომპლექსებით. ბერდიტაკისა და გუკის ტექტონიკური ფირფიტები გარდაქმნიღია რეგიონული მეტამორფიზმის ბიოტიტური სუბფაციესის პირობებში ($T=350-390^{\circ}\text{C}$, $P=1.2-1.6$ კბარი), ხოლო დაღარის ტექტონიკური ფირფიტის მეტამორფიზმი მაღალტემპერატურულ ქლორიტ-სერიციტულ, ბიოტიტურსა და გრანატულ სუბფაციესებს შეესაბამება ($T=360-440^{\circ}\text{C}$, $P=1.8-2.5$ კბარი). აღვერანის წყების ქანები მაღალტემპერატურული (ეპიზონის მაღალტემპერატურული ნაწილი) ანქიმეტამორფიზმის პროდუქტია (Shengelia et.al., 2006). კასახის ოფიოლიტური კომპლექსის ქანები რეგიონული მეტამორფიზმის სტავროლიტური ფაციესის პირობებშია გარდაქმნილი ($T=450-540^{\circ}\text{C}$, $P=1.8-2.1$ კბარი). ანკავანის კომპლექსის რეგიონული მეტამორფიზმი შეესაბამება მწვანე ფიქლების ფაციესის გრანატული სუბფაციესისა და სტავროლიტური ფაციესის პირობებს ($T=390-540^{\circ}\text{C}$, $P=3.2-4$ კბარი).

ამრიგად, მცირე კავკასიონის ფარგლებში გავრცელებული ტერეინების აღჰურამდელი რეგიონული მეტამორფიზმის პირობები მნიშვნელოვნად განსხვავებულია.

სამხრეთ კავკასიისა და ირანის ეპითერმული Au-Cu სისტემები


ა. თვალჭრელიძე¹, მ. ოთარაშვილი²

¹ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

²თსუ ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური
ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტი

21-ე საუკუნეში ჩვენი წარმოდგენები კუნძულთა რკალების ოქრო-პოლიმეტალურ გამაძნეებაზე ძირფესვიანად შეიცვალა. თუ ადრე ისინი განიხილებოდა როგორც დამოუკიდებელი გეოლოგიური პროცესების შედეგი (პოსტვულკანური, პოსტინტრუზიული, ტელეტერმული და სხვ.), დღეს ასეთი გამაძნეებები მიჩნეულია ვულკანურ-პლუტონური კომპლექსების განვითარების ერთიანი გრძელვადიანი პროცესის პროდუქტებად. შედეგად, მთლიანად უარყოფილ იქნა იდეები ბოლნისის, ალავერდის, კედაბეკის, კაფანის და სხვ. მადნიან რაიონებში მცირე კავკასიონის ტიპის კოლჩედანური საბადოების გავრცელების შესახებ.

დღეს მიჩნეულია, რომ ჰიდროთერმული სისტემები წარმოიქმნება გაცივებადი სუბვულკანური კერების თერმოგრადიენტულ ველებში მეტეორული წყლების კონვექციური ნაკადების გახურების შედეგად. გაცივებადი ინტრუზიული კერების პალეოტემპერატურულმა მოდელირებამ დაგვარწმუნა, რომ ჰიდროთერმული სისტემების დაარსება შესაძლებელია მაგმური კერის ჩამოყალიბებიდან ასეული ათასი წლის შემდეგ, როცა მაგმური მასის ძირითადი მოცულობა უკვე გამოკრისტალებულია. ამ თვალსაზრისით, გამოიყოფა ჰიდროთერმული მადანწარმომქნელი სამი სისტემა: ა) Au-Cu პორფირული, ბ) ეპითერმული მაღალი სულფიდაციის Au (Ag)-Cu და გ) ეპითერმული დაბალი სულფიდაციის Au (Ag)-Cu-პოლიმეტალური (სურ. 1).



სურ. 1. კუნძულთა რკალების მადანწარმოქმნელი სისტემების მოდელი (Thomsen, 2015).

პორფირულ გამადნებას თან ახლავს მაღალტემპერატურული კვარც-ენარგიტული და კვარც-გრანატული ჰიდროთერმული შეცვლები; ეპითერმული მაღალი სულფიდაციის მადნები განლაგებულია ფოროვან მეორად კვარციტებში, ხოლო ეპითერმულ დაბალი სულფიდაციის სისტემებისთვის დამახასიათებელია პროპილიტები. პორფირული და ეპითერმული მაღალი სულფიდაციის მადნები გამოკრისტალდება მჟავე ფლუიდებიდან, ხოლო ეპითერმული დაბალი სულფიდაციის მინერალიზაცია ნეიტრალური ხსნარებიდან წარმოიქმნება. როგორც წესი, აღნიშნული სამი სისტემა ქმნის დამოუკიდებელ საბადოებს, მაგრამ გვხვდება ამ სისტემების შერწყმის შემთხვევები, რომლებიც განხილულია სონაჯილის (ირანი), ღართისა და წითელისოფლის საბადოების მაგალითებზე. საბადოები ვერტიკალური ზონალობით ხასიათდება.

კავკასიონის სვანეთის სეგმენტის პლუტონური
მაგმატიზმი: ცირკონების U-Pb გეოქრონოლოგია,
პეტროქიმიკა და წარმოშობის გეოდინამიკური პირობები

ე. გამყრელიძე¹, ა. ოქროსცვარიძე², ი.-ჰ. ლი³, დ. თორმეი⁴,
გ. ბოიჩენკო², ს.გოგოლაძე²

¹თსუ ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი

²ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ
მეცნიერებათა ინსტიტუტი

³ჩუნგ-ჩენგის ეროვნული უნივერსიტეტი, ჩიაუი, ტაივანი

⁴გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების ბიურო, სანტა-მონიკა,
კალიფორნია, აშშ

კავკასიონის ნაოჭა-შეცოცებითი სარტყელი ალპურ-ჰიმალაური ოროგენული სარტყლის ნაწილია. მან განიცადა რთული პოლიციკლური განვითარება გვიან კამბრიულამდელ პერიოდში და მთელი ფანეროზოურის განმავლობაში (Gamkrelidze et al., 1986; Gamkrelidze, Shengelia, 2005). ჩვენ განვიხილეთ ახალი მონაცემები LA-ICP-MS U-Pb გეოქრონოლოგიისა და პეტროქიმიის შესახებ ამ ოროგენის მაგმური აქტივობის სამ ძირითად ეტაპზე: 1 - ორდოვიცულზე, 2 - გვიანკარბონულზე და 3 - შუაიურულზე (აალენურ-ბაიოსურზე). პირველ ეტაპზე (~488-475 მლ.), ორდოვიცული ბიოტიტიანი ორთოგენისები ჩამოყალიბდა კალედონური ოროგენეზისის პროცესის განმავლობაში სუპრა-სუბდუქციურ პირობებში; მეორე ეტაპზე (~320-310 მლნ.) ზედაკარბონული გრანოდიორიტ-გრანიტული პლუტონები ჩამოყალიბდა ვარისკული ოროგენეზისის პროცესში, ასევე სუპრა-სუბდუქციურ პირობებში.

აალენურ-ბაიოსური პერიოდის მონცოსიენიტური პლუტონური აქტივობა გამოვლინდა ადრეკიმერიული დანაოჭების შედეგად, კავკასიონის მცირე ოკეანური აუზის დახურვის შემდეგ პალეოზოურ-ტრიასულ დიზის სერიასა და ქვედაიურულ შავ ფიქლებში და დაკავშირებული იყო დედამიწის ქერქის გაჭიმვასთან. ამ პლუტონების ასაკი თანდათან მცირდება ჩრდილო-

ეთიდან სამხრეთის მიმართულებით (~177-164 მლნ). ეს მოცემულობა, დიდი ალბათობით, მიუთითებს გაჭიმვის პროცესის ამავე მიმართულებით გავრცელებაზე.

ამ პლუტონების პეტროქიმიის მიხედვით, კალედონური ორთოგნიესები ჩამოყალიბდა გარდამავალ, სინაკრეციულ გეოდინამიკურ პირობებში. გვიანვარისკული პლუტონები, ასევე წარმოიქმნება სინ-აკრეციულ გეოდინამიკურ პირობებში, ხოლო შუაიურული პლუტონები - პოსტაკრეციულში. პეტროტიპებსა და ფორმირების გეოდინამიკური პირობების ასეთი განსხვავებების მიუხედავად, ყველა პლუტონური მდნარი მიეკუთვნება კირ-ტუტე მაგმურ სერიას. კავკასიონის მთავარი ქედის (კუნძულთა რკალის) პლუტონების ფორმირება ხდებოდა სუპრასუბდუქციურ პირობებში, კავკასიონის სამხრეთი ფერდობის მცირე ოკეანური აუზის აქტიურ კიდეზე, ხოლო მონცოსიენიტური პლუტონები, რომლებიც შეიჭრნენ პალეოზოურ-ტრიასულ დიზის სერიაში და ქვედაიურულ შავ ფიქლებში ჩამოყალიბდა ამ აუზის პასიურ კიდეზე, კონტინენტური ფერდობისა და ძირის პირობებში, რომელსაც თხელი სუბოკეანური ქერქი გააჩნდა.

აჭარა-თრიალეთის სარტყელის პლუტონების
ქსენოლითების ცირკონების U-Pb გეოქრონოლოგია:
მტკიცებულებები იურულისწინა კრისტალური
ფუნდამენტის დესტრუქციის შესახებ

ა. ოქროსცვარიძე¹, ე. გამყრელიძე², ი.-ჰ. ჩენგი³, ს.-ლ. ჩანგი³,
ფ. რაბაიროლი⁴, გ. ბოიჩენკო¹, ს. გოგოლაძე¹

*¹ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ
მეცნიერებათა ინსტიტუტი*

²თსუ ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი

*³ტაივანის ნაციონალური უნივერსიტეტი, გომეცნიერებათა
დეპარტამენტი, ტაიპეი, ტაივანი*

*⁴ბრიტანული კოლუმბიის უნივერსიტეტის მადნიან საბადოთა
დეპარტამენტი, ვანკუვერი, კანადა*

გვიანცარცულიდან ეოცენამდე, აჭარა-თრიალეთის ნაოჭა-შე-
ცოცებითი სარტყელი მკაფიოდაა გამოხატული, 350 კმ-ზე მეტი
სიგრძით, თბილისის აღმოსავლეთიდან დასავლეთით, შავი
ზღვამდე. იგი ინტერპრეტირებული იყო როგორც ზურგსუკანა
რიფტი, რომელიც ჩამოყალიბდა მცირე კავკასიონის მეზოზო-
ური კუნძულთა რკალის ჩრდილოეთით (Gamkrelidze, 1974,
1986).

აჭარა-თრიალეთის სარტყელის მაგმური ქანები უმეტესად
წარმოდგენილია ძირითადად ტრაქიტებითა და მონცო-სიენი-
ტებით. პლუტონური სხეულები სარტყელის ფართობის მხო-
ლოდ ~7%-ს იკავებს და მეტწილად შიშვლდება მის დასავლეთ
ნაწილში.

საველე სამუშაოების დროს მოპოვებული მასალა ადასტუ-
რებს, რომ შუა ეოცენური მონცო-სიენიტური პლუტონები შეი-
ცავს გრანიტებისა და ბაზალტების უამრავ ქსენოლითს, აგრეთ-
ვე გაბროულ რესტიტებს.

ჩატარებული კვლევის შედეგები მიუთითებს რომ პიროკლა-
სტური ქანების ფორმირება დაიწყო ადრე ეოცენურში (~50 მლნ.
წელი). მასიურმა ინტრუზირების პროცესებმა (~46–44 მლნ. წე-

ლი) გამოიწვია სიალური ქერქის ასიმილაცია და კონტამინაცია და მონცო-სიენიტური მდნარების ფორმირება ~43-42 მლნ. წლის წინ. ეოცენური მონცო-სიენიტური პლუტონები შეიცავენ პალეოზოური გრანიტების (312±7 მლნ.წ. და 474±5 მლნ.წ.) და ტოლეიტური ბაზალტების ჩანართებს. უკანასკნელთა ცირკონების ასაკი მერყეობს ნეოპროტეროზოულიდან (747±33 მლნ. წელი, 632±29 მლნ. წელი) კამბრიულამდე (515±9 მლნ. წელი).

შესწავლილი ცირკონების U-Pb გეოქრონოლოგიის შედეგები ჩვენებს, რომ აჭარა-თრიალეთის რიფტოგენული აუზი განვითარდა იურულამდელ კრისტალურ ფუნდამენტზე, გვიანცარცულიდან ეოცენამდე პერიოდში, ზურგსუკანა გაჭიმვის გეოდინამიკურ რეჟიმში. არსანიშნავია, რომ ეს დასკვნა სრულ თანხვედრაშია ამ სარტყლის ფორმირების ადრე შემოთავაზებულ მოდელთან (Gamkrelidze, 1974, 1986).

ზაჰესის წყალსაცავის ფსკერული ნალექების კვლევა

ვ. გვახარია^{1,3}, ნ. მაჩიტაძე^{1,3}, ნ. გელაშვილი^{1,3}, გ. დამბაშიძე²,
ტ. ადამია^{1,3}, ს. კოლომიკოვი^{1,3}

¹თსუ ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი

²აკ(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ეკოლოგიური

სოფლის მეურნეობისა და ბუნების დაცვის ლაბორატორია

³შპს სამეცნიერო კვლევითი ფირმა „გამა“

ხელოვნურ წყალსატევებში მყარი ნატანის ფორმირება განპირობებულია იქ შემავალი მდინარეების მიერ შემოტანილი მყარი ნატანით, რაც იწვევს მასში წყლის სასარგებლო მოცულობის შემცირებას. ზაჰესის წყალსაცავის ფსკერული ნატანი წარმოადგენს რუხი ფერის წვრილმარცვლოვან ქვიშებს ლამების მინარევებით, ძირითადად შედგება 0,05 მმ და უფრო წვრილმარცვლოვანი ფრაქციებისაგან. ნალექებს ახასიათებს მაღალი კარბონა-

ტულობა და მაღალი ტუტიაობა. ორგანული ნივთიერებების (ჰუმუსის) შემცველობა საშუალოდ მეტია 4%-ზე, ცალკეულ ადგილებში 10 %-ს აღემატება. აზოტის, ფოსფორისა და კალიუმის საერთო შემცველობა ნიადაგებისათვის დამახასიათებელ საშუალო შემცველობას უახლოვდება.

ლითონების შემცველობა ფსკერულ ნალექებში განპირობებულია მტკვრის აუზის გეოლოგიური აგებულებით, აუზში მასალის მობილიზების და მდინარის მიერ ტრანსპორტირების პირობებით, ასევე პოტენციური ანთროპოგენული დატვირთვის არსებობით. კვლევის შედეგების მიხედვით წყალსაცავის ფსკერულ ნალექებში ზოგიერთი ლითონის საშუალო შემცველობა ფონურ კონცენტრაციასთან შედედარებით მცირედით მაღალია (Turekian & Wedepohl, 1961). ლითონებით დაბინძურების ხარისხის შეფასების ინდექსების მიხედვით ჩანს, რომ გეოაკუმულაციის ინდექსი $I_{geo} < 0$, დაბინძურების ფაქტორი CF ახლოა ერთთან, გამდიდრების ფაქტორი EF უახლოვდება 2-ს, პოლიელემენტური დატვირთვის ჯამური ინდექსი $PLI < 1$. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ შესწავლილი ფსკერული ნალექები განეკუთვნება უმნიშვნელო და საშუალო დაბინძურების კატეგორიას. ორგანული დამაბინძურებლების კვლევის შედეგად დადგენილია, რომ ნავთობის ჯამური ნახშირწყალბადები (TPH), ქლორორგანული პესტიციდების Hexachlorobenzene. α -HCH. γ -HCH Lindane. DDT. DDD. DDE და პოლიქლორირებული ბიფენილები PCBs) არ ფიქსირდება.

კავკასიონის კახეთისა და თუშეთის სეგმენტების
გეოლოგიური დახასიათება და მათი მადანგამოვლინებების
პერსპექტიულობის შეფასება

კ. აქიმიძე¹, ა. ოქროსცვარიძე², დ. ბლუაშვილი³

*¹ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი*

*² ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ
მეცნიერებათა ინსტიტუტი*

*³ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამთო-გეოლოგიური
ფაკულტეტი*

საქართველოს ფარგლებში კავკასიონის მთვარი ქედის უკიდურესი აღმოსავლეთი ნაწილი წარმოდგენილია კახეთისა და თუშეთის სეგმენტებით. ამ სეგმენტებში ტექტონიკურმა და მაგმურმა აქტივობამ გამოწვია ვულკანოგენურ-დანალექი კომპლექსის ინტენსიური ჰიდროთერმული შეცვლები და განაპირობა 100-ზე მეტი მადანგამოვლინების ფორმირება (Акимидзе и др., 1986).

დეტალურად იქნა შესწავლილი 11 მნიშვნელოვანი მადანგამოვლინება, რომელმაც დადასტურდა როგორც ბაზისური მეტალების ასევე ოქროს, თორიუმის, იტრიუმის, კობალტის, კადმიუმისა და ბისმუტის არსებობა. ამასთან ერთად, ჩვენს მიერ მიკვლეული იქნა ორი ახალი, გელიასა და ლეჩურის, მადანგამოვლინება.

ჩატარებული მეტალოგენური კვლევის მიხედვით შესწავლილ რეგიონში მადანგამოვლინებები დაახლოებით მსგავს მაგმურ-ჰიდროთერმულ პირობებში ჩამოყალიბდნენ, თუმცა განსხვავებულ ტემპერატურულ რეჟიმებში. ართანის, ლოდოვანის, ჩელთისა და სხვა მსგავსი მადანგამოვლინებები მცირე მასშტაბებით სახიათდება, სხვა სამრეწველო მნიშვნელობის მეტალურ საბადოებთან შედარებით. თუმცა, სტორისა (კახეთი) და თებულოს (თუშეთი) გამდნებებს გააჩნიათ მნიშვნელოვანი მასშტაბები და, შესაბამისად, პერსპექტივა. მათ ირგვლივ განვითარ-

რებულია კვარც-სერიციტ-ქლორიტ-პირიტული და ალბიტ-ეპიდოტ-ქლორიტ-პირიტული მძლავრი შეცვლილი ზონები, რაც დამახასიათებელია პორფირული საბადოებისათვის. ლეჩუ-რის მადანგამოვლინება, რომელიც აღმოჩენილი იქნა ჩვენი კვლევის დროს, იმსახურებს განსაკუთრებული ინტერესს, ვინა-იდან მისი ლოკალიზაციის გეოტექტონიკური პოზიცია, მინე-რალური ასოციაციები და მეტალთა კონცენტრაციები მნიშვნე-ლოვან მსაგავსებას ავლენს აზერბაიჯანის ცნობილ ფილისჩაის პირიტ-პოლიმეტალურ საბადოსთან (Mustafaev et al., 2006).

ჩვენს მიერ პირველად დაფიქსირდა რეგიონში ოქროს მინე-რალიზაციის არსებობა. აღსანიშნავია, რომ თებულოს რაიონი, სადაც ოქროს ანომალიები დადგინდა მასიურ პოლიმეტალურ სხეულებში, დაკავშირებულია ძლიერ სილიფიცირებულ ზო-ნებთან, რაც ჩვენი კვლევის მნიშვნელოვანი შედეგია. დასას-რულს აღვნიშნავთ, რომ თუმეთისა და კახეთის სეგმენტებში მომავალში უფრო დეტალური მეტალოგენური კვლევების ჩატარებაა საჭირო, რადგან აქ შეიძლება იყოს ისეთი მნიშვნე-ლოვანი სასარგებლო ნამარხების საბადოები, როგორცაა მეზო-ბელ აზერბაიჯანსა და დაღესტანში.

**მძიმე ლითონების განაწილება საქართველოს
საავტომობილო გზების გასწვრივ მდებარე ნიადაგებში
(დასავლეთ-აღმოსავლეთის მონაკვეთზე)**


**დ. ყუფარაძე¹, დ. პატარიძე¹, ვ. კირაკოსიანი¹,
ნ. ხუნდაძე¹, გ. დარჩიაშვილი¹**

*¹თსუ ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური
ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტი*

მძიმე ლითონებით ნიადაგების დაბინძურების შესწავლის მიზნით, საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ რეგიონე-ბის დამაკავშირებელი საავტომობილო გზების გასწვრივ ჩატარ-

და სპეციალიზებული გეოქიმიური კვლევები. კვლევა მიზნად ისახავდა ნიადაგის დაბინძურების არელების გამოვლენას.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ნიადაგების შესწავლამ და ანალიზმა გამოავლინა საინტერესო შედეგები, რომლებიც საჭიროებს შემდგომ შესწავლას, განზოგადებას და ინტერპრეტაციას დაბინძურების წყაროების იდენტიფიცირების მიზნით. მაგალითად, სპილენძის შემცველობა ნიადაგებში იცვლება დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ. თუ შავი ზღვის სანაპიროზე მისი შემცველობა, ზოგ შემთხვევაში, 10-17-ჯერ აღემატება ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას (ზდკ), აღმოსავლეთისკენ, უკვე იმერეთის რეგიონიდან დაწყებული, ის მცირე გამონაკლისების გარდა, ნორმის ფარგლებშია. ნიადაგში ტყვიის შემცველობა ყველგან არის დასაშვებ საზღვრებში და მხოლოდ ერთ რეგიონში - ცენტრალურ საქართველოში, ნორმას 2-3-ჯერ აჭარბებს. საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ნიადაგებში თუთიის შემცველობა ზოგადად ნორმის ფარგლებშია, ხოლო თბილისის აღმოსავლეთით მდებარე ზოგ ტერიტორიაზე, ის რამდენჯერმე აღემატება ზდკ-ს.



ნახ. 1. სპილენძის, ტყვიისა და თუთიის შემცველობები საავტომობილო გზების გასწვრივ არსებულ ნიადაგებში საქართველოს რეგიონების მიხედვით

სპილენძის, ტყვიისა და თუთიის შემცველობები საავტომობილო გზების გასწვრივ არსებულ ნიადაგებში საქართველოს რეგიონების მიხედვით ნაჩვენებია (ნახ. 1).

გამოვლენილი ტენდენციები მოითხოვს ამ ლითონების შემცველობების ცალკეული ანომალიური უბნების საფუძვლიან და დეტალურ შესწავლას.

დასავლეთ საქართველოს ქვედამიოცენური ნალექების მიკროფაუნა (ფორამინიფერები, ოსტრაკოდები)

ლ. ფოფხაძე¹, ს. სტამბოლიშვილი¹

¹თსუ ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი

მიოცენური ნალექები იწყება აქვიტანური რეგიოსართულით. ქვედა მიოცენური ოლიგოცენურთან ერთად, განიხილება მაიკოპის სერიის შემადგენლობაში. აქვიტანური ნალექები გავრცელებულია აფხაზეთში, სამურზაყანოს და გუდაუთის ქვეზონებში, სამეგრელოში, ოდიშის ქვეზონაში და რაჭა-ლეჩხუმში დებვირის ანტიკლინის ჩრდილო ფრთაზე. აღნიშნულ ნალექებში მიკროფაუნა არ არის დადგენილი. აფხაზეთში საყარაულოს ნალექების თხელ- და სქელშრებრივ ქვიშაქვებში, ნაპოვნია სრულმარილიანი აუზისათვის დამახასიათებელი მაკრო- და მიკროფაუნა, სადაც ფორამინიფერებით (ო. ჯანელიძე, 1970) გამოყოფილია ორი მიკროფაუნის ტური ზონა: ქვედა - *Uvigerinella californica* და ზედა - *Neobulimina abchasiensis*. სამეგრელოს და რაჭა-ლეჩხუმის სტრატეგრაფიულ ჭრილებში გამოვლენილი საყარაულოს ასაკის მიკროფაუნა იდენტურია. მნიშვნელოვანია სახასიათო და ენდემური სახეობები, ფორამინიფერები: *Spiroplectommina caucasica*, *Globulina kuzinae*, *Porosononion polymorphina*, *P. scabrum*, *P. barmishiensis*, *Elphidium onerosum*, *E. Kvezanensis*, *Discorbis gigae*, *Entosolenia maciae*, *E. Georgiana*, ხოლო

ოსტრაკოდები - *Cythereis sakaraulensis*, *Cytheretta karobkovi*, *Loxococoncha ovata*. კოწახურის დახშული აუზის ნალექები მიეკუთვნება მაიკოპური სერიის ზედა ნაწილს, რომლებიც უწყვეტი ზოლის სახით ვრცელდება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ის წარმოდგენილია: 1) სანაპირო ნალექებით, რომლებიც შეიცავს მტკნარი მომარილიანო ზღვებისათვის დამახასიათებელ მოლუსკურ ფაუნას და 2) ღრმა ზღვის ნალექებით, სადაც ორგანული ნამარხები არ შეინიშნება. აფხაზეთში ქვედა თარხნული ასაკის მუქ ნაცრისფერ ძლიერ კარბონატულ თხელშრეებრივ ქვიშიან თიხებში და თიხიან ქვიშაქვებში აღნიშნულია მიკროფაუნის ფრაგმენტები. მიკროფაუნით დათარიღებული ქვედა თარხნული ნალექები ვრცელდება ოდიშის ქვეზონაში და რაჭა-ლეჩხუმში დეხვირის ანტიკლინის ჩრდილოეთ ფრთაზე. ქვედა თარხნული ნალექების ფორამინიფერებია: *Textularia tarchanensis*, *Quinqueloculina boueana* *Q. boueana levis*, *Q. Selene*, *Sigmoilina mediterraneensis*, *S. tenuis*, *Discorbis tarchanensis*, *Nonion granosus*, *Globigerina tarchanensis*, *Ammonia beccarii*, ხოლო ოსტრაკოდები: *Loxokoncha carinata*, *L. carinata alata*, *Trachyleberis dentata*, *T. caucasica*, *Cytheridea mulleri*.

ეოცენის და ოლიგოცენის მოსაზღვრე ნალექების ბიოსტრატოგრაფია რიონი-მტკვრის სტრუქტურულ- ფაციალურ ზონაში

თ. ღავთაძე¹, ლ. ფოფხაძე¹, ს. სტამბოლიძე¹

¹თსუ ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი

პლანქტონური ფორამინიფერების (PF) და ნანოპლანქტონის (NP) მეთოდით ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ საქართველოს ბელტის ლითოსტრატოგრაფიული დანაყოფები (ეგრი-სის, არგვეთის და ხადუმის წყებები) და მათი ანალოგები კავკა-

სიონის მეორე მხარეს (კუმის, ბელაია გლინას და კშიხის წყებები) შეიცავენ აღნიშნული ჯგუფების მეტად მსგავს კომპლექსებს. ჩრდილოეთ კავკასიის კუმის წყებაში დადგენილია PF-ის *Globigerina turcmunica*-ს და NP-ის *Reticulofenestra umbilica*-ს ზონის *Discoaster saipanensis*-ის ქვეზონა. იგივე ბიოსტრატოგრაფიული ერთეულებითაა დათარიღებული ეგრისის წყება. რიონი-მტკვრის სტრუქტურულ-ფაციალურ ზონაში (ისევე, როგორც ჩრდილო კავკასიაში) ეგრისის (და კუმის) წყების ყავისფერ მერგელებს თანხმობით აგრძელებს არგვეთის (და ბელაია გლინას) წყების მომწვანო-ნაცრისფერი მერგელები. მის ქვედა ნაწილში, კავკასიონის ქედის ორივე მხარეს, დადგენილია PF-ის *Globigerapsis tropicalis* ზონა მსხვილი გლობიგერინებით. ხოლო ზედა ნაწილი მოიცავს *Globorotalia centralis* ზონას. არგვეთის წყებაში (ისევე, როგორც ბელაია გლინა) დადგენილია სამივე ზედაეოცენური NP ზონა: *Chiasmolithus oamaruensis*, *Isthmolithus recurvus* და *Sphenolithus pseudoradians*. კავკასიონის ორივე მხარეს ოლიგოცენი მაიკოპის სერიითაა წარმოდგენილი. მის ქვედა ნაწილში გამოიყოფა ხადუმის წყება, რომელიც NP-ის მიხედვით, *Clausicoccus subdistichus*-ის, ხოლო PF-ით - *Globigerina tapuriensis*-ის ზონებს მიეკუთვნება. რიონი-მტკვრის სტრუქტურულ-ფაციალური ზონის და ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის ეოცენ-ოლიგოცენურ ნალექებში გამოვლენილი მიკრო- და ნანოფოსილიების (და არა მართლ მათი) აბსოლუტური მსგავსება მიუთითებს იმაზე, რომ ამ დროს კავკასიონის ორივე ფრთა ერთიან მთლიან აუზს წარმოადგენდა ერთიდა იგივე გარემო პირობებით.

ლისის ანტიკლინის ფარგლებში განვითარებული მცირემპლიტუდიანი რღვევითი დისლოკაციების სტრუქტურულ-კინემატიკური ინტერპრეტაცია

ლ. ბაშელიშვილი¹

¹თსუ ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი

ქალაქ თბილისის ტექტონიკურ სახეს აყალიბებს ძირითადად, სამი განედური მიმართულების ჩრდილოვერგენტული დიდმისა და საბურთალოს სინკლინი და მათი გამყოფი ლისის ანტიკლინი. ეს ნაოჭები აღმოსავლეთით მდ. მტკვრის ხეობაში იძირება ახალგაზრდა მიო-პლიოცენური ნალექების ქვეშ. ბოლო წლების სავლე დკვირვებების საფუძველზე, ლისის ანტიკლინისა და საბურთალოს სინკლინის ფრთებში ჩვენს მიერ აღინიშნა მრავალი მცირემპლიტუდიანი ნასხლეტისა და ნასხლეტ-ნაწევის ტიპის მერიდიანული მიმართულების რღვევები. მათი ინტენსივობა დასავლეთიდან აღმოსავლეთით იმატებს ნაოჭის პერიკლინური დაბოლოების მიმართულებით, სადაც შრეების წოლის კუთხე შესამჩნევად მცირდება და თალურ ნაწილში თითქმის ჰორიზონტული ხდება. ამასთან ერთად, იზრდება ნაპრალეების ინტენსივობაც. ასეთი სტრუქტურული სურათი, ჩვენი აზრით, გამოწვეულია აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის დაძირვით აღმოსავლეთის მიმართულებით. აღნიშნულზე, ასევე გავლენას ახდენს მდ. მტკვრის ხეობაში განვითარებული მერიდიანული რღვევის არსებობაც (I. Gamkrelidze et al. 2008).

შესაძლებელია, რომ რღვევითი დეფორმაციების ამგვარი სტრუქტურულ-კინემატიკური პარაგენეზისი იყოს გამომწვევი მიზეზი იმ ფერდობის არამდგრადობისა, რომელიც ახლახან განვითარდა ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლებაში წარმოებული გზის მშენებლობისას.

ბორჯომის ხეობის პალეოცენ-ქვედაეოცენური ნალექების ნამარხი ნაკვალევები

ზ. ლებანიძე¹, ა. უჰმანი², თ. ბერიძე³, ნ. კობახიძე³,
კ. ლობჯანიძე³, ს. ხუციშვილი³, რ. ჩაგელიშვილი⁴, დ. მაქაძე⁵,
კ. ქოიავა¹, ნ. ხუნდაძე⁵

¹თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
გეოლოგიის დეპარტამენტი

²იაგელონიის უნივერსიტეტი, გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი,
გეოლოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტი

³თსუ ალ. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი

⁴საქართველოს ეროვნული მუზეუმი, გეოლოგიისა და
პალეონტოლოგიის დეპარტამენტი

⁵თსუ ალ. თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის
კავკასიის ინსტიტუტი

წარმოდგენილია აჭარა-თრიალეთის ნაოჭა-შეცოცებითი სარტყლის ცენტრალური ნაწილის პალეოცენ-ქვედაეოცენური ნალექების უახლესი ინტეგრირებული იქნოლოგიურ-სედიმენტოლოგიური კვლევის შედეგები ბორჯომის ხეობის ფარგლებში. შესწავლილია სამი ჭრილი ნამარხი ნაკვალევების ადგილსაპოვებლებით: ფაფა, არდაგანი 1 (პალეოცენი) და არდაგანი 3 (ქვედაეოცენი). გამოვლენილი იქნოკომპლექსების და სედიმენტოლოგიური თავისებურებების ანალიზით შესაძლებელი გახდა ამ ჭრილებისთვის ნალექდაგროვების გარემოს ინტერპრეტირება. ფაფის ჭრილის ნამარხი ნაკვალევების კომპლექსი მსგავსია წვრილმარცვლოვანი ტურბიდიტური სისტემების დისტალური ლამით და სილით მდიდარი ტურბიდიტებისა და წარმოადგენს ღრმა ზღვის გამოტანის კონუსის გარე ნაწილს. არდაგანის 1 ჭრილის ნამარხი ნაკვალევების კომპლექსი ყველაზე ახლოსაა *Nereites*-ის იქნოფაციისის *Nereites*-ის იქნოსუბფაციესთან, რომელიც ტიპურია ღრმა ზღვის ტურბიდიტული ნალექდაგროვების სისტემების დისტალური ნაწილისთვის. არდაგანი 3 ჭრილის ქვედა ნაწილი ხასიათდება დაბალი იქნო-

მრავალფეროვნებით და პოსტ-დეპოზიციური ფორმების დომინირებით, რაც შეიძლება მიუთითებდეს არხის ღერძის გარე ნაწილის (არხისშიდა ან გარდამავალი არხი-ენა ზონები) გარემოზე. გრაფოგლიპტიდების დომინირება ჭრილის ზედა ნაწილში მიუთითებს *Nereites*-ის იქნოფაციის *Paleodictyon*-ის იქნოსუბფაციესზე, რომელიც ყველაზე გავრცელებულია ღრმა ზღვის გამოტანის კონუსის ნალექდაგროვების გარემოში (არხის კიდე, არხის ენა ან გამოტანის კონუსის კიდე). დადგინდა, რომ ბორჯომის ხეობის პალეოცენ-ქვედაეოცენური ნალექები ასახავს ღრმა ზღვის ტურბიდიტული ნალექდაგროვების გარემოს აჭარა-თრიალეთის რიფტული აუზის ფარგლებში.

ახალი მონაცემები ხევსურეთის ალპური ტიპის კვარცის მარღვების მინერალოგიური შედგენილობის შესახებ

გ. ბერიძე¹, მ. მესხი², ქ. გაბარაშვილი¹,
ი. ჯავახიშვილი¹, ნ. ინანაშვილი³

¹თსუ ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი

²ლ. სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

³საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ალპური ტიპის კვარცის მარღვები გავრცელებულია ხევსურეთში, მდ. არღუნის ხეობაში, კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობზე. იგი მიეკუთვნება კავკასიონის ნაოჭა სისტემის ყაზბეგ-ლაგოდეხის სტრუქტურულ ზონას, რომელიც აგებულია ლიასური ასაკის საშუალო- და სქელშრეებრივი თიხაფიქლებით, ასპიდური ფიქლებით და ქვიშაქვებისა და ალევროლითების მორიგეობით. ეს უკანასკნელი დიდი რაოდენობით შეიცავს ალპური ტიპის კვარცის მარღვებს.

კვარცის ძარღვები შესწავლილია რიგი მკვლევარის მიერ. მათი მონაცემებით, მათში გვხვდება კვარცი, კალციტი, ქლორიტი, ეპიდოტი და ალბიტი.

ჩვენ შევისწავლეთ მდ. არღუნის აუზში გავრცელებული ალპური ტიპის კვარცის ძარღვების ორი გამოსავალი. ისინი შემცველ ქანებს 90⁰ კუთხით კვეთს; მათი სიმძლავრეა 0.2-0.5 მ, ხოლო გაბერვის ადგილას 1.5 მ-საც კი აღწევს.

კრისტალოგრაფიული, მინერალოგიური და პეტროგრაფიული კვლევისას დადგინდა, რომ აღნიშნულ ძარღვებში გარდა კვარცისა, არის კალციტი, ალბიტი, ეპიდოტი, ქლორიტი, ბრუკიტი, რუტილი და თვითნაბადი ტყვია. ბოლო სამი მინერალი პირველადაა დადგენილი.

კვარცი გვხვდება ჩონჩხისებრი და კარკასული დრუზებისა და ცალკეული კარგად განვითარებული კრისტალების სახით. ზოგჯერ, დრუზებს კედლებთან მიმაგრების კვალი არ ემჩნევა. როგორც ჩანს, ისინი ხსნარში თავისუფლადაა გაზრდილი. იგი შეიცავს რუტილის, ბრუკიტის, ქლორიტს, ეპიდოტისა და თვითნაბადი ტყვიის ჩანართებს. კალციტის რომბოედრული კრისტალები რუტილის ჩანართებს შეიცავს. ზოგჯერ, თხელი ძარღვის ერთ მხარეს გაზრდილია კვარცის, ხოლო მეორე მხარეს - კალციტის კრისტალები. ალბიტის წვრილი ფირფიტისებრი კრისტალების ზომები 0.2-0.6 სმ-ს ფარგლებშია. რუტილი წარმოდგენილია ნემსისებრი და თმისებრი კრისტალებისა და ძნისებრი კონების სახით. გვხვდება როგორც ცალკეული კრისტალების, ასევე კვარცში და კალციტში ჩანართების სახით. ბრუკიტი ძირითადად თავისუფალი, ფირფიტისებრი 0.2-0.5 სმ კრისტალებითაა წარმოდგენილი; ტყვია, ქლორიტი და ეპიდოტი ჩანართების სახით გვხვდება მხოლოდ კვარცში.

ამრიგად, აღნიშნული კვარცის ძარღვების მინერალები, ძირითადად ერთდროულად კრისტალდებოდა. ხოლო, კვარცში და კალციტში ჩანართების არსებობა მიუთითებს, რომ მათი გაჩენა რამდენადმე წინ უსწრებდა კვარცისა და კალციტის კრისტალიზაციას.

საქართველოს თიხოვანი ქანების თერმული
მოდულიციების რეჟიმის შემუშავება
მეტაკაოლინის მისაღებად

ე. შაფაქიძე¹, ი. ქამუშაძე¹, ი. გეჯაძე¹,
ლ. გაბუნია¹, თ. პეტრიაშვილი¹

*¹თსუ ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური
ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტი*

ცემენტის წარმოება ერთ-ერთ ყველაზე ენერგოტევად წარმოებად ითვლება მსოფლიოში, რაც ძლიერ აზინძურებს გარემოს და თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს პრობლემას ქმნის. ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ გზას პუცოლანური დანამატების გამოყენება წარმოადგენს.

ცემენტის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ პუცოლანურ დანამატად ითვლება მეტაკაოლინი ($Al_2O_3 \cdot 2SiO_2$), რომელიც მიიღება კაოლინური თიხების ტემპერატურული მოდიფიცირებით 500-800 °C-ზე (Dr. K. Srinivasu et al., 2014).

საქართველოში კაოლინური თიხების საბადოები არ არის, ამიტომ მნიშვნელოვანია მეტაკაოლინის მიღება ჩვეულებრივი პოლიმინერალური თიხოვანი ქანებისგან, რომელთა მარაგები უზვადაა.

კვლევებისთვის გამოყენებულ იქნა შემდეგი სახის თიხოვანი ქანები: თიხაფიქლები მდ. დურუჯის ხეობიდან, არგილიტი თელეთიდან და სამი სახის ადვილლოზობადი თიხა მეტეხიდან, მირიანიდან და გარდაბნიდან.

თიხოვანი ქანების თერმული დამუშავდა ჩატარდა ლაბორატორიულ მუფელის ლუმელში 550, 600, 700 და 800 °C-ზე, ერთი საათის დაყოვნებით მაქსიმალურ ტემპერატურებზე.

თერმული მოდიფიცირების შედეგად 550°C-დან იწყება თიხოვანი ქანების კრისტალური მესრის ნაწილობრივი დაშლა და მინერალების რენტგენომორფულ ფაზაში გადასვლა, რის შედეგად წარმოიქმნება მეტაკაოლინი. ტემპერატურის მატებასთან ერთად 800°C-მდე თიხის კრისტალური მესერი მთლიანად

იშლება და ამორფული ფაზის - მეტაკაოლინის შემცველობა იზრდება, ხოლო თიხის პუცოლანური თვისებები - უმჯობესდება.

ცემენტების ფიზიკურ-მექანიკური ტესტირება ჩატარდა ევროსტანდარტის (EN 196-1) მოთხოვნების მიხედვით. მექანიკური სიმტკიცის ყველაზე მაღალი შედეგები აჩვენა ცემენტებმა: 6%-დან 35%-მდე გარდაბნის თიხის დანამატით (გამოწვის ტემპერატურა 600-700 °C), 20% არგილიტის დანამატით (გამოწვის ტემპერატურა 700 °C); 20% თიხაფიქლის დანამატით (გამოწვის ტემპერატურა 800 °C (E. Shapakidze et al., 2019).

ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა პერსპექტიული ადგილობრივი თიხოვანი ქანები, რომელთა თერმული მოდიფიცირების შედეგად, შესაძლებელია მნიშვნელოვნად შემცირდეს კლინკერის წილი პორტლანდცემენტის შემადგენლობაში მექანიკური სიმტკიცის შენარჩუნებით.

გუდამაყრის ქედის კირტუფოვანი წარმონაქმნები

მ. კავსაძე¹, ქ. გაბარაშვილი¹, გ. ვაშაკიძე¹, მ. ტოგონიძე¹,
თ. ბერიძე¹, გ. ბერიძე¹, კ. ლობჯანიძე¹

¹თსუ ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი

თანამედროვე ვულკანოლოგიაში, სედიმენტოლოგიაში და სპელეოლოგიაში კირტუფების შესწავლას მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა, არა მხოლოდ როგორც სამშენებლო ნედლეულს, არამედ როგორც ქემოგენური გენეზისის განსაკუთრებულ ტიპს, კარსტული პროცესების მარკერს და ჩამქრალი, მიძინებული და აქტიური ვულკანური კერების მდგომარეობის განმსაზღვრელ ფაქტორს (Kavsadze, 2016; კავსაძე და სხვ., 2017, 2022).

ავტორთა ჯგუფის მიერ, წლების მანძილზე დაგროვილი მასალით იკვეთება კირტუფების პეტროლოგიურ შესწავლაში

არსებული გარკვეული ხარვეზები. კერძოდ, ადგილობრივი კირტუფოვანი წარმონაქმნების გენეზისის და კლასიფიცირების არარსებობა და ზოგიერთი ტერმინის არასწორი გამოყენება.



სურ. 1. შირიმი/ტრავერტინი (გუდამაყარი, სოფ. მაქართა).

ჩვენს მიერ განხორციელდა გუდამაყარის ქედის გასწვრივ დაფიქსირებული კირტუფების აღწერა, რაც მოიცავს როგორც კირტუფოვან დეპოზიტებს და ქერქებს, ასევე შირიმის (ტრავერტინის) მძლავრ გამოსავლებს, სადაც ფიქსირდება ფაუნის კარგად გამოხატული აღნაბეჭდები (სურ. 1) და გუდამაყარის ქედის გასწვრივ დაფიქსირებული კირტუფების კლასიფიცირების მცდელობა მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით.

ქისათიბის დიატომიტის საბადო

ნ. ჩომახიძე¹, ნ. ფოფორაძე¹

¹საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ქისათიბის მსოფლიო მნიშვნელობის დიატომიტის საბადო გამოირჩევა უნიკალური ტექნოლოგიური თვისებებით. იგი აგებულია მიო-პლიოცენური ასაკის ვულკანოგენებით (გოდერძის წყება). წყების ზედა ნაწილში განლაგებულია დიატომიტის 5 ფენა.

დიატომიტის შემცველი ქანი ნატეხური აგებულების, ნაცრისფერი, საშუალო მჟავიანობის ლითოკრისტალოკლასტური ფოროვანი ტუფია. მიკროსკოპში ქანი ნატეხური აგებულებისაა, ქანში გვხვდება დიდი ზომის როგორც ცალკეული მინერალების (ძირითადად, პლაგიოკლაზი და რქატყუარა), ასევე, როგორც წესი, ეფუზიური წარმოშობის, პორფირული და დიაბაზური სტრუქტურის ქანის ნატეხების სახით. ზოგ შემთხვევაში, ნატეხები მთლიანად ჩანაცვლებულია მეორადი მასალით. ხშირია რკინის ჰიდროქსანგითა და თიხოვანი მასით ჩანაცვლებული უბნები.

მაკროსკოპულად, ზღვიური წარმოშობის დიატომიტი წარმოადგენს ფხვიერ, სუსტად შეცემენტებულ, მცენარულნაშთებთან ზღვის ცხოველების ჯავშანს. გამოირჩევა 4 სახეობის - ზოლიანი, თეთრი, ღია ნაცრისფერი და ნაცრისფერი წმინდამარცვლოვანი დიატომიტი. მიკროსკოპში მასალა ერთგვაროვანია, მთლიანად წარმოდგენილია მღვრიე, თითქმის იზოტროპული ოპალის მასით, რომელიც მცირე რაოდენობით შეიცავს წმინდამარცვლოვან, კრისტალურ მექანიკურ მასალას (α -კრისტობალიტი, Ca-მონტმორილონიტი, Ca-Na - მინდვრისშპატი).

დიატომიტის მოპოვება მიმდინარეობდა როგორც ღია კარიერული წესით, ასევე მიწისქვეშა სამთო გამონამუშევრებით. ნედლეული, ძირითადად მიეწოდებოდა საცემენტე მრეწველობას, ცემენტში ჰიდრავლიკური დანამატისათვის, ხოლო მცირე ნაწილი კი გამოიყენებოდა ქიმიურ მრეწველობაში.

ქისათიბის უნიკალური თვისებების მქონე დიატომიტის ასეთი არარაციონალური გამოყენება არ არის მიზანშეწონილი.

ქისათიბის დიატომისგან შესაძლებელია მიღებულ იქნეს მაღალხარისხოვანი ძვირადღირებული პროდუქცია: საფილტრე ფხვნილები შაქრის ხსნარების, ზეთის, ხილის წვენების, ღვინის, ლუდის გასაწმენდად; შემავსებლები ქრომატოგრაფიული მყარი მატარებლების დასამზადებლად. იგი წარმატებით შეიძლება გამოიყენებულ იქნეს მედიცინაში გლიცერინის და ინსულინის გასაწმენდად, ასევე როგორც სორბენტი ლაქტამური წყლების გასასუფთავებლად; სინთეზური ბოჭკოს, ქაღალდის,

რეზინის, საღებავისა და სხვა პროდუქციის წარმოებაში. დიაგნოზისაგან დამზადებული მზა პროდუქცია, ძირითადად, საექსპორტოდ იქნება გამიზნული.

ჩვენ მიერ ჩატარებული სავლე სამუშაოებისა და კომპლექსური ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე, ასევე ქისათიბის საბადოს პირვანდელი და დღეის მდგომარეობის შედარებისა და დრონით მიღებული სურათებისა და მოდელირების ანალიზით, ნათლად დგინდება საბადოზე არსებული პრობლემები (ნაკარიერალების და ჩამდინარე წყლების პრობლემა, ჩამოქცეული შახტები და ა.შ.). მათი აღმოფხვრა კი მხოლოდ საბადოს თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით დამუშავებითა და მიღებული პროდუქტის რეალიზებით იქნება შესაძლებელი.

ძირულის მასივის სამხრეთ - დასავლეთი პერიფერიის ჰემატიტიანი ჰორიზონტის შესახებ

მ. ტყემალაძე¹

*¹თსუ ალ. თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის
კავკასიის ინსტიტუტი*

1. ჰემატიტიანი კვარციანი ქვიშაქვები ვრცელდება ძირულის მასივის სამხრეთ-დასავლეთ პერიფერიაზე, გამარმარილოებული კირქვების ზოლის გასწვრივ, დაღმავალ ჭრილში მათ ქვევით. განვიხილავთ მის ასაკობრივ, გენეტურ და რაოდენობრივ მახასიათებლებს სოფლების - შროშას (ძველ და ახალ კარიერებს შორის) და წიფლავაკეს ფარგლებში, სადაც ვრცელდება უწყვეტად. ასეთი სახით სხვაგან არ გვხვდება.

2. აღნიშნულ ფართობზე რკინა ფიქსირდება სინემურული ასაკის, ტერიგენული ქარსიან-კვარციანი ქვიშაქვების (მარტო-თუბნის წყება) ზედა დონეზე. მისი შემცველობა მაქსიმუმს აღ-

წევს გარდამავალ ტერიგენულ-კარბონატულ ყვირილას წყებაში (ქვედა პლინსბახური) და მცირე რაოდენობითაა შროშის წყების კარბონატულ ნალექებში (ზედა პლინსბახურ-ტოარსული).

3. ჰემატიტის ქვიშაქვები ყვირილას წყების ზედა დონეს შეესაბამება. მოხსენებულ ორ კარიერს შორის (1,5 კმ.), ის ვრცელდება 1,5 -3 მ-ზე. ჯამური სიმძლავრის რამდენიმე შრის სახით, ერთგვაროვანი მინერალური (კვარცი, ჰემატიტი, პლაგიოკლაზი, მუსკოვიტი და სხვ.) და ცვალებადი რაოდენობრივი ქიმიური შედგენილობით. ჰემატიტის შემცველობა ზრდადია აღმოსავლეთიდან (20 – 30 % ახალ კარიერთან და 50 – 57 % ძველ კარიერთან ახლოს) დასავლეთისაკენ, მაქსიმუმს აღწევს შროშის ძველი კარიერის ფარგლებში და მიმდებარე ცეცხლგამძლე თიხების საძიებო ფართობზე.

